საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 20 მაისი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/35

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების: საშემსრულებლო ხელოვნება; მუსიკის თეორია/აკადემიური გუნდის დირიჟორობა დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და მუსიკის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 19 აპრილის სხდომის (ოქმი № 3) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- საშემსრულებლო ხელოვნება;

პროგრამის ხელმძღვანელი - სრული პროფესორი ლალი ჭელიძე.

- მუსიკის თეორია/აკადემიური გუნდის დირიჟორობა;

პროგრამის ხელმძღვანელი - სრული პროფესორი ხათუნა მანაგაძე.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია